სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/88

16 ივლისი 2021 წ.

ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომების დისტანციურ რეჟიმში დაცვის ან/და დაცვის გადავადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, “იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სწავლების დეპარტამენტის უფროსის თამარ წერეთლის შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 16 ივლისის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებსაც დასრულებული აქვთ საბაკალავრო ნაშრომი და ვერ ცხადდებიან ნაშრომის დაცვაზე, მიეცეთ უფლება დაიცვან საბაკალავრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით ან/და გადაუვადდეთ ნაშრომის დაცვა 2021-2022 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში.
2. ფაკულტეტის დეკან(ებ)მა უზრუნველყოს ნაშრომის დაცვის პროცესის სრული აუდიოვიდეო ჩაწერა და ჩანაწერის ლაზერულ დისკზე (CD ან DVD) შენახვა, შესაბამისი ოქმის დანართის სახით.
3. საბაკალავრო ნაშრომ(ებ)ის დისტანციურ რეჟიმში დაცვის შემთხვევაში, პროცესში ჩართულმა ყველა მონაწილემ უზრუნველყოს საკუთარი ვიდეოგამოსახულება/ვიდეოთვალის გამოყენება მთელი პროცესის განმავლობაში.

4. ამ დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, სტატუსი გაუგრძელდეთ სწავლის საფასურის გადახდის გარეშე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**